

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია

(2010–2015 წწ.)

მიზანი:

უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება.

ამოცანები:

- ა) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სისტემატური შეფასება;
- ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივი სრულყოფა;
- გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სწავლის, სწავლებისა და კვლევის პირობების) ეტაპობრივი სრულყოფა;
- დ) უნივერსიტეტში ბოლონის პროცესის პრინციპების დანერგვა;
- ე) საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაცია;

შედეგები:

- ა) ინსტიტუციური აკრედიტაციის განმეორებით მიღება (რეაკრედიტაცია) 2012 წელს;
- ბ) პროგრამული აკრედიტაციის მიღება რეგულირებად სპეციალობებში (მასწავლებლის მომზადება, მედიცინა, სამართალი) 2013 წლამდე;
- გ) ყველა საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამული აკრედიტაცია 2015 წლამდე;
- დ) საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება ცალკეულ პროგრამებზე 2015 წლამდე.

ძირითადი პრინციპები:

- ა) უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სისტემატური, მოკლე და გრძელვადიანი დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება;
- ბ) უნივერსიტეტის მართვის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, შეფასების პროცესის ობიექტურობა, საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- გ) სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვის, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

კონკრეტული აქტივობები მიზნისა და შედეგების მისაღწევად, დასახული ამოცანების განსახორციელებლად:

1. მკაფიოდ განსაზღვრული, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული მოთხოვნები პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების (შემდგომში: საგანმანათლებლო) პროგრამების მომზადებისათვის.
2. საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების მკაფიოდ განსაზღვრული, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული პროცედურები.

3. უფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები (ინდიკატორები).
4. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების პროცესის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
5. სტუდენტების აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში (სტუდენტების სისტემატური გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში).
6. თსუ აკადემიური პერსონალის, სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის, პარტნიორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მკვლევარების აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში.
7. პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის, უცხოური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მკვლევარების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში.
8. პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში.
9. საგანმანათლებლო პროგრამების საინფორმაციო უზრუნველყოფა (ინფორმაციის განთავსება თსუ ვებ-გვერდზე, ბროშურების, ბუკლეტების დამზადება, რეკლამა ტელევიზიით და სხვ.).
10. სტუდენტთა საკონსულტაციო სამსახურის ამოქმედება (საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეზე).
11. აკადემიური პერსონალის სისტემატური თვითშეფასება (თვითშეფასების კითხვარის შედეგების გათვალისწინება აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი წინსვლის, სახელფასო ტარიფების განსაზღვრის დროს).
12. სტუდენტთა შეფასებების ანალიზი (შედეგების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების, სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში).
13. ზრუნვა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე.
14. კრედიტების სწორი გამოყენების უზრუნველყოფა.
15. დიპლომის დანართების სწორად შემუშავების უზრუნველყოფა.
16. საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

17. საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა.

18. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სამოქმედო გეგმა

აქტივობა	პასუხისმგებელი სტრუქტურა (პირი)	შესრულების თარიღი	შესრულების ინდიკატორი
პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების პროგრამების მომზადების ინსტრუქციების მოდიფიცირება, მათი ახალი რედაქციის შემუშავება	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2010 წ. იანვარი	თსუ აკადემიური საბჭოს მიერ მოდიფიცირებული დოკუმენტების დამტკიცება
საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურების სრულყოფა	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2010 წ. თებერვალი	თსუ აკადემიური საბჭოს მიერ მოდიფიცირებული პროცედურების დამტკიცება
საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების (ინდიკატორების) სრულყოფა	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2010 წ. მარტი	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაფორმება
საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების პროცესის ობიექტურობის, საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი		თსუ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები, პროგრამების საჯარო განხილვის ოქმები, პროგრამების შიდა და გარე შეფასების, აკადემიური ექსპერტიზის შედეგების ხელმისაწვდომობა პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისათვის

სტუდენტების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ სტუდენტური თვითმმართველობა და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები, თსუ სტუდენტები		თსუ სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, პროგრამების საჯარო განხილვის ოქმები, პროგრამების შიდა და გარე შეფასების შედეგების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის
თსუ აკადემიური პერსონალის, სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის, პარტნიორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მკვლევარების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი		პროგრამების საჯარო განხილვის ოქმები, პროგრამების გარე შეფასების, აკადემიური ექსპერტიზის შედეგები, დამოუკიდებელი ექსპერტების რეცენზიები
პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის, უცხოური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მკვლევარების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი		პროგრამების საჯარო განხილვის ოქმები, პროგრამების გარე შეფასების, აკადემიური ექსპერტიზის შედეგები, დამოუკიდებელი ექსპერტების რეცენზიები
პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი		პროგრამების საჯარო განხილვის ოქმები, პროგრამების გარე შეფასების, აკადემიური ექსპერტიზის შედეგები, დამოუკიდებელი ექსპერტების რეცენზიები
საგანმანათლებლო პროგრამების	თსუ ფაკულტეტები,		თსუ ვებ-გვერდზე განთავსებული

საინფორმაციო უზრუნველყოფა	თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, თსუ საინფორმაციო ცენტრი		ინფორმაცია, ბროშურების, ბუკლეტების რაოდენობა, პრესით, რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული რეკლამის მოცულობა
სტუდენტთა საკონსულტაციო სამსახურის გაუმჯობესება	თსუ ფაკულტეტები, თსუ სასწავლო დეპარტამენტი		სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, თსუ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტების რაოდენობა
აკადემიური პერსონალის სისტემატური თვითშეფასება	თსუ აკადემიური პერსონალი, თსუ სამეცნიერო დეპარტამენტი		თვითშეფასების შედეგები: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები
აკადემიური პერსონალის თვითშეფასების შედეგების აკადემიური თანამდებობრივი სახელფასო ტარიფების განსაზღვრის დროს	თსუ ადმინისტრაცია	2010 წწ.	თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება, უნივერსიტეტის ახალი სახელფასო სისტემა
სტუდენტთა შეფასებების ანალიზი	თსუ სასწავლო დეპარტამენტი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი	2011 წ.	სტუდენტთა შეფასებების ანალიზის საფუძველზე მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები
ზრუნვა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე	თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი		კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების და ა. შ. კურსების, ტრენინგების, სემინარების რაოდენობა; მათში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; ფაკულტეტების, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული თანხა
კრედიტების სწორი გამოყენების	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის	2011 წ.	ECTS Label-ის მოპოვება

უზრუნველყოფა	სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი		
დიპლომის დანართების სწორად შემუშავების უზრუნველყოფა	თსუ სასწავლო დეპარტამენტი		დიპლომის დანართების შეფასების შედეგები
საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი		პროგრამული აკრედიტაცია
საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ აკადემიური პერსონალი	2011 წ.	პროგრამების აკადემიური ექსპერტიზის შედეგები
უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	თსუ ადმინისტრაცია	2012 წ.	2006-2012 წწ. შემენილი კომპიუტერების, ლაბორატორიების აღჭურვილობის, წიგნებისა და პერიოდული გამოცემების რაოდენობა, რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობების, აუდიტორიების, ლაბორატორიების და ა. შ. საერთო ფართი, ინსტიტუციური რეაკრედიტაცია